ნინო გვარამაძე

სამოქალაქო განათლების კონსულტანტი

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასტერ-კლასი სამოქალაქო განათლებაში:

„არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარება მოსწავლეებში“

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი ამოცანაა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სტიმულირება. პროფესიული განვითარებისაკენ მიმართული აქტივობები განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როცა ისინი ეფუძნება მასწავლებელთა კონკრეტულ პროფესიულ და საგნობრივ საჭიროებებს მოცემულ მომენტში.

არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარება მოსწავლეებში აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბების, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ერთ-ერთი წინაპირობაა.

გთავაზობთ მასტერ-კლასს სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის თემაზე „არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარება მოსწავლეებში“

მასტერ-კლასის თემატიკა:

- არგუმენტაცია, არგუმენტაციის მიზნები და მეთოდები;
- არგუმენტის სახეები;
- სწავლების მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას;
- თემები, რომლებიც ხელს უწყობს არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას.

მასტერ-კლასის შედეგად:

- მონაწილეები გაეცნობიან არგუმენტაციის მეთოდებსა და სახეებს, არგუმენტის შექმნის იდეას;
- გაიაზრებენ თუ რომელი მეთოდი როგორ უწყობს ხელს არგუმენტირებული მსჯელობის განვითარება;
- გააცნობიერებენ არგუმენტირებული მსჯელობის საჭიროებას პროექტებით სწავლების სხვადასხვა ეტაპზე;
- გაეცნობიან დილემური სწავლების მეთოდს.